



ქაზანო სპ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროსი.
 Organe du Bureau à l'Étranger du parti Social-démocrate de Géorgie.

ჩვენი დროშა

“ NOTRE DRAPEAU ”

დაარსებულია 1904 წელს

აგვისტო 1976 კარიჭი

№ 87

შინაარსი:

- სული ძლიერი ბ. ს.
- ს ი ტ უ ვ ა . რევან ჯაფარიძე.
- † გრიგოლ რომაქიძის ერთი წერილი, ა. ლორია.
- მარტყოფის ბრძოლის 350 წლისთავი. დ. ურატაძე.
- პატრიოტიზმი და საბჭოთა პატრიოტიზმი კ. ინასარიძე.
- ანდრე ამარლიკი. პ. სარჯველაძე.
- ფ ი ქ რ ე ბ ი . — შაპოვალ.
- უკრაინის განმანთავისუფლებელ მოძრაობიდან.
- სიმონ პეტლიურას დაღუპვის 50 წლისთავი ბ. ს.
- ვლასა მგელაძის მოგონება.
- სამგლოვიარო, ჩვენი ფონდი და სხვ



ს უ ლ ი ძ ლ ი ე რ ი

(აგვისტოს გამო).

არა ბუნებამ, თვით ხალხმა შეჰქმნა უმთავრესი პირობა თავის თავდაცვის. მუდმივ ბრძოლაში გაწრთვნილმა, მან გააძლიერა და გააკაჟა თავისი სული, ეს სიმაგრე, სულის-მორალი ცხოველმყოფელი, იცავდა მუდამ ქართველ ერს და იცავს მას დღესაც საშინელი განსაცდელისაგან.

ბუნების მიერ საქართველოსათვის დადებული საზღვრები, ძალიან ძლიერნიც, უმნიშვნელონი არიან იმ სიმაგრესთან შედარებით. მტერს არა ერთხელ გადაულახავს მრისხანე ზღვარი, მაგრამ ვერასდროს მას ვერ დაუმორჩილებია ქართველი ერი; საქართველოს სული დაუძლეველი აღმოჩნდა.

ამისათვის ვიგონებთ ჩვენ გულმოდგინებით და მოკრძალებით 1924 წლის აგვისტოს დღეებს. უსაზღვრო გაბედულობით და წინასწარ განწირული თავდადებით შეებრძოლა 1924 წელს, ქართველი, მასზე ბევრჯერ უფრო მრავალრიცხოვან და დაუნდობელ მტერს. იგი დამარცხდა ბრძოლაში, მაგრამ ფიზიკურად დამარცხებულმა, მან უმაღლესი მორალის მაგალითი მისცა მომავალ თაობებს, მაგალითი ერთსულოვნების.

ქართველი ერი მტკიცედ იცავს ამ ერთსულოვნებას, სისხლით დაწურულმა შურისმაძიებელ მტრის მიერ, მან თავი არ დახარა მოსკოვის წინაშე. ყველაფერი მისი კარნახით კეთდება,—და უამისოდ არაფერი კეთდება ჩვენში, ხალხის ერთსულოვან წანააღმდეგობას იწვევს. სოფლის მეურნეობის კოლიქტივიზაცია, ქვეყნის არა ბუნებრივი ინდუსტრიალიზაცია, სარწმუნოების და საზოგადოდ, სინდისის გამოხატულების დევნა, მოსახლეობის გარუსება და სხვ. — ყოველივე ეს ჩვენში, ქართველი ერის დასამორჩილებლად არის მოწყობილი, მაგრამ ვერ აღწევს და-

ნიშნულებას; ქართველი ხალხის ერთსულოვნების სალიკლდე აღიშართა მტრის მოქმედების წინააღმდეგ.

უსაშინელეს ტრალედიას, გაუგონარს მის მრავალ საუკუნოვან ისტორიაში, განიცდის ახლა ჩვენი ქვეყანა. სულის რაოდენი სიმტკიცე, გამძლეობის რაოდენი ღონე სჭირია ჩვენს ხალხს, რომ მან ეს უბედურებაც გადაიტანოს?

არავითარი გამამხნეებელი ამბავი საბჭოთა კავშირში მომწყვედრულ პატარა ერებს არ მოსდით ამ უკანასკნელ ხანებში იმათგან, ვისაც მსოფლიოს ბედ-იღბალი უჭირავს ხელში. ძნელია პატარა ერის ტრალედიამ შესცვალოს გადაწყვეტილება დიდი სახელმწიფოების, მათი განზრახვები, გეზი მათი მოქმედებისა. მით უფრო საჭიროა ჩვენთვის ერთსულოვნება, ერთსულოვნება აქ, უცხოეთში მოქმედ ეროვნული ძალების... ერთეულოვნება შიგნით და გარედ; ერთსულოვნება ყველა იმ ერებთან, ჩვენსავით ჩაგრულნი და უფლება-აყრილნი რომ არიან.

1924 წლის. ჩვენი ხალხის გამოსვლა დამარცხდა, სხვათა შორის იმიტომ, რომ მარტო ვიყავით, სხვა ერები ამ გამოსვლას ვერ გამოეხმაურენ. საჭიროა ერთსულოვნება საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ხოლო ჩვენი ქვეყნის დახსნის უმთავრესი იმედი მაინც ჩვენი ერის საკუთარ მოქმედებაზე უნდა დავამყაროთ, მის ყოფა-ქცევაზე შინ და იმ მცირე დახმარებაზე, თუ ამ დახმარებას შესძლებს უცხოეთში გახიზნული ქართველობა; არ უნდა გადავამეტოთ ამ უკანასკნელის შესაძლებლობა, რომლის უმთავრესი იარაღი მტრის წინააღმდეგ არის, თავის ქვეყნის საკითხის პროპაგანდა უცხოეთში, იქ, სადაც თავისუფლებას აფასებენ და პატივსაცემენ. საჭიროა ამ პროპაგანდის გაძლიერება, რადგან საზოგადოებრივ აზრს დიდი გავლენა აქვს ქვეყნის მმართველებზე თავსუფალ ქვეყნებში.

საქართველოს საკითხი წმინდაა და სამართლიანი, მას არც გაბერვა სჭირია, არც გადამეტება; სინამდვილე თავის თავად ყველაფრის მეტყველია. ჩვენ უნდა შევინახოთ და დავიცვათ გარეშეთა თვალში ღირსება და უფლება ჩვენი ერის.

საჭიროა ამ საზოგადოებრივი აზრის მომზადება, რათა ამ აზრმა ქვეყნის მართველებაზე გავლენა მოახდინოს იმ დროისთვის, როცა ძალით თუ ნებაყოფლობით, საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხი დაისმება მთელი მისი სიგრძე-სიგანით. ამისათვის საჭიროა ჩვენი კვლავ და კვლავ ინტენსიური პროპაგანდა ყოველგვარ და ყველას წინაშე; ვინ იცის ხვალ ვინ როგორ გამოგვადგება?

ვინც ოდნავ თვალყურს ადევნებს საერთაშორისო მოვლენებს, შეამჩნევდა რომ მიუხედავად ოფიციალური ურთიერთობის, კაცობრიობა გრძნობს თუ რა საფრთხე გაუჩნდა მას რუსეთში ბოლშევიზმის გამაგრებით.

რუსეთის პრიმიტიული მისტიციზმი მუდამ გაუგებარი იყო მოაზროვნე კაცობრიობისათვის, მაგრამ ის კიდევ უფრო დაიბნა ბოლშევიზმის გაგებაში. ამ ტრადიკულ საიდუმლოებას ნელ-ნელა ებდება ფარდა და ქართველ ხალხს აქვს უფლება იამაყოს, რადგან მან პირველმა ააფრიალა ბრძოლის დროსა ამ სლავ-მონგოლური ფენომენის წინააღმდეგ. ეს დროსა არ არის მხოლოდ და მხოლოდ კერძოთ ეროვნული თავისუფლების სიმბოლო, არამედ, აგრეთვე — ადამიანის ღირსების, მისი ხელუხლებელი უფლებების დაცვის და განაღების გამოხატულობა. ამდენად, ქართული საქმე საერთაშორისო ადამიანობის ჩარჩოებში ექცევა და მისი გამარჯვება უზრუნველყოფილია. მას ვერ გასტეხს მტრის ეფემერული სიძლიერე.

ძვირი უჯდება პატარა ერს ბრძოლაში გადაშვება, მაგრამ მას მრავალი ასეთი ბრძოლა გადაუხდია და გამარჯვებული გამოსულა. სხევე მოხდება ახლო მომავალშიც. ამისათვის საჭიროა ხალხმა ბრძოლაში დაცემულ გმირთა სახელები წმინდათ შეინახოს და მომავალ თაობებს გადასცეს...

ავგისტო-სექტემბრის დღეებში დაღვრილი მამულიშვილთა სისხლი ერმა უნდა აიღოს. მაშინ მისი დაფლეთილი დროსა მთაწმიდის სიმაღლეზე აღიმართება.

ბ. ს.

ს ი ტ უ ვ ა ,

წარმოქმული რევაზ ჯაფარიძის მიერ, ამა წლის 28 აპ-
რილს, საქართველოს მწერალთა კავშირის ყრილობაზე,
თბილისში.

(ამოღებულია „თვითგამოცემების“ მასალებიდან.)

იგი არ საჭიროებს ჩვენს კომენტარიებს, ისედაც საკ-
მაოდ ნათელია თუ რა საფრთხეშია ქართული ენა.

„დგას დღეს რომელიმე მნიშვნელოვანი პრობლემა ქართველ მწერალთა წინაშე? დიალ, ჩვენს წინაშე დგას მრავალი პრობლემა. ამ პრობლემათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და პირველხარისხოვანია, თუ არ ვცდებ-
ბი, და მგონი არ ვცდები, ქართული ენის მდგომარეობა. რა თქმა უნდა, ქართული ენა, რომლის განმარტებითი ლექსიკონი შესდგება რვა ვებერთელა ტომისაგან და რომელზეც დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“, არ წარმოადგენს მხოლოდ ლიტერატურის საკუთრებას. იგი ეკუთვნის მთელ ქართველ ხალხს, — გლეხობას, მუშებსა და ინტელიგენციას. თუ გავიხსენებთ ნაციის მარქსისტულ განსაზღვრას, ენა პირველ ყოვლისა გამოყვანილია, როგორც ერის უმნიშვნელოვანესი ნიშანთვისება. ენის გარეშე არ არსებობს ნაცია. ჩვენმა პოეტმა ეს სწორად გამოთქვა: „ვეფხისტყაოსანი ენას ქრება ნაცია“.

ეს რთული პრობლემაა. ენასთან ხუმრობა არ შეიძლება! ენაში გამოსახულია ხალხის სული, მისი წარსული და აწმყო, მისი დამახასიათებელი თვისებები.

გულუბყვილო იქნება ფიქრიც იმაზე, რომ ამა თუ იმ ენის ინტერესთა იგნორირება თითქოს არ წარმოადგენს დანაშაულს ამ ენის მატარებლის წინაშე. ამიტომ, დიდი ლენინი მუდამ ყურადღებით ეკიდებოდა დიდი თუ პატარა ერების ენებს და მიუტევებელ დანაშაულად თვლიდა ნებისმიერი ხალხის პრეტენზიებს უპირატესობაზე. ლენინი პირდაპირ აცხადებდა: „აბსოლუტურად არავითარი პრივილეგია არც ერთ ხალხს, არც ერთ ენას.“ (ტომი 20, გვ. 7)

რატომ ვლაპარაკობ ყველაფერ ამაზე? ვითომ მხოლოდ იმიტომ, რომ საჭიროდ მიმაჩნია კვლავ შევეხო ასეთ მტკივნეულ სიკითხს და გამოვიტანო იგი მზის სინათლეზე? იმიტომ შეგობრებო, რომ ვშიშობ ზოგი სახელმწიფო მოღვაწის არასაკმარის კომპენტეტობას ენის საკითხში შეუძლია წყლის ამღვრევა და უხვი საკვების მიცემა ჩვენი სისტემის მტრებისათვის საზღვარგარედ. მაგრამ არა მარტო საზღვარგარედ! მტრები და არაკეთილმსურნენი სახლშიც; ე. ი. საქართველოშიც საკმარისად გეყავს. რა მიზნებს არ უნდა ისახავდნენ ჩვენი შინაური და გარეშე მტრები, ისინი ჩვენს წინააღმდეგ იყენებენ ყველა საშუალებას, რათა ხალხში დათესონ უკმაყოფილების მარცვალი. ვავიხსენოთ ზოგი ნათელი მაგალითი.

1976 წლის 10 იანვარს, „უჩიტელსკაია გაზეთი“-ში გამოქვეყნებული იქნა საქართველოს განათლების მინისტრის, ამხანაგ თამარ ლაშქარაშვილის სტატია — „გამოუღვევლი რეზერვები“, რომელშიც მინისტრი ეხება რა რუსული ენის სწავლების საკითხს ქართულ სკოლებში, სიტყვა-სიტყვით წერს: „საინტერესო მუშაობა წარმოებს ზუგდიდის საშუალო სკოლა-ინტერნატში. აქ, ისტორიის, გეოგრაფიისა და ფიზკულტურის გაკვეთილები ტარდება რუსულ ენაზე უკვე მეხუთე კლასიდან. ბავშვებმა ერთი წლის მანძილზე დიდ წარმატებებს მიაღწიეს რუსული ენის შესწავლაში.“

გთხოვთ სწორად გამიგოთ! ნურავინ იფიქრებს, რომ საქართველოში ვიღაცეები, ჩემის ჩათვლით, გამოდის რუსული ენის სწავლის წინააღმდეგ. პირიქით, და ათასჯერ პირიქით. მაგრამ რისკენ მოგვიწოდებს ამხ. ლაშქარაშ-

ვილი? ზემომყვანილი სიტყვებით, იგი ადასტურებს, რომ ქართულ ბავშვებისათვის შეუძლებელია რუსული ენის სწავლება, თუ ისინი უკვე მეხუთე კლასიდან უარს არ იტყვიან მშობლიურ, ქართულ ენაზე სწავლაზე. რაკი ბავშვებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ზუგდიდის სკოლაში, რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ აქედან? ერთად-ერთი ლოგიკური დასკვნაა: ზუგდიდის სკოლის გამოცდილება შემოღებული უნდა იქნას საქართველოს სხვა სკოლებშიც და ამით ქართული ენა თანდათანობით უნდა გაქრეს ქართული სკოლებიდან!

და ამისაკენ მოგვიწოდებს არა რომელიმე პირი, არამედ თვით საქართველოს განათლების მინისტრი და თან მისი წერილი იბეჭდება მოსკოვის „უჩიტელსკაია გაზეტა“-ში.

მე არ მინდა პოლიტიკური დასკვნების გამოტანა ლაშქარაშვილის სტატიიდან, რადგან ამგვარი საქციელის პოლიტიკური შეფასება მოიპოვება ლენინის შრომებში. ხოლო თქვენს ყურადღებას მივაპყრობ სხვა არასასურველ ფაქტზე.

მიმდინარე წლის 9 თებერვლის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ გამოქვეყნდა ოფიციალური დოკუმენტი, — „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალიტური ვალდებულებანი 1976 წლისათვის“, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია: „პრაქტიკაში შემოღებული იქნება რიგი საგნების სწავლება რუსულ ენაზე, რისთვისაც გათვალისწინებულია წამყვანი რუსი სპეციალისტების მოწვევა“. რას ნიშნავს ეს? იმას ნიშნავს, რომ უძველესმა ქართულმა ენამ, ხან დიადმა და მრისხანემ, ხან ნაზმა და დახვეწილმა, განსაკუთრებით მდიდარმა თავისი ლექსიკური ფონდით, არ გაამართლა თავისი თავი, და აი, დადგა დრო, როცა უნდა გამოვეთხოვოთ ჩვენს ეროვნულ სიამაყეს, თბილისის უნივერსიტეტს, რომელიც დაარსდა ჩვენი წინაპრების სისხლითა და ოფლით. მეგობრებო, თბილისში არა ქართული უნივერსიტეტის დაარსების ეს იდეა არახალია. იგი, რაღაც სუბიექტური მიზეზების ძალით, ეკუთვნის ნიკო მარს და დროებითი მთავრობის პრემიერს კერენსკის. ნუ დავივიწყებთ ისტორიას! ზოგ-

ჯერ მეტად სასარგებლოა მისი გახსენება. იგივე ნიკო მარი ამბობდა: „ქართულ ენას ძალუძს ყველაფრის გამოთქმა, რაც შეიძლება ადამიანმა გამოთქვას მსოფლიოა რომელიმე ენაზე. ქართული ენა თავისი შინაგანი თავისებურებით, შეიძლება ითქვას, წარმოადგენს საერთაშორისო ენასო.“

გასულ წელს, საქართველოს სათანადო ორგანოებმა მოსკოვიდან მიიღეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი და საშუალო „სპეცგანათლების“ მინისტრის—ელიუტინის ბრძანება, რომლის მიხედვით ყველა უმაღლესი სასწავლებლის სახელმძღვანელოები უნდა გამოიცეს რუსულ ენაზე. დაშვებულია ზოგი გამონაკლისი მოსკოვის კონტროლისა და ნებართვის შემდეგ. ამ კანონის ძალით უკვე გაუქმდა ქართულ სწავლულთა, რიგი სახელმძღვანელოებისა.

არ ვიცი, ვინ დგას ელიუტინის უკან.

მაღალი ინსტაციების დადგენილების თანახმად, დისერტაციები, (იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი ეხებიან ქართულ ზმნას), პუბლიკაციები დისერტაციებზე და თვით სწავლულთა საბჭოს სხდომების სტენოგრამები მოსკოვს უნდა წარედგინოს რუსულ თარგმანში, ხოლო თვით დისერტაციის დაცვის პროცედურა შეიძლება ჩატარდეს მშობლიურ ენაზე, მხოლოდ ოპონენტებისა და სწავლულთა საბჭოს წევრების თანხმობის შემთხვევაში.

უკანონოა და მეტად სამწუხაროც არა მარტო ის გარემოება, რომ მსგავსი დადგენილებანი არ შეესაბამება ლენინიზმის სულისკვეთებას, არამედ ისიც, რომ ასეთი მოვლენები, სამწუხაროდ, მრავალ ადამიანს არც კი აკვირვებს, ბევრს ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნია. ყველაფერ ამის შესახებ ვლადიმერ აკობ იმდენად, რამდენადაც ამაზე ლაპარაკი შემიძლია. სად უნდა გამოვთქვა ჩემი აზრი, თუ არა აქ? სად უნდა ვიპოვო უფრო მაღალი ტრიბუნა, უფრო კომპეტენტური და უფლებამოსილი აუდიტორია? მეგობრებო, უმოქმედება ბოროტებაა, ბოროტებაა, როცა ვსდუმვართ და ჩვენს შეშფოთებას გულში ვინახავთ.

ეხლა კი გავხსნათ ლენინის ტომი. „შოვინიზმის არგუმენტები შორს საქდბარი როდია. ეს არგუმენტია ის,

დიდრუსების. ბატონნი პურიშკევიჩები არ მოერიდებიან რომ თვითელი ერი დაემორჩილოს ველიკოროსებს, — იმას, რომ სავსებით აკრძალონ ის „ძაღლის ენები“, რომლებზეც ლაპარაკობს რუსეთის არარუსული მოსახლეობის 60 პროცენტი. (ლენინის შრომა ტომი 20, გვ. 70—71. „საჭიროა თუ არა სავალდებულო სახელმწიფო ენა?“) ახლა თვალი გადავაგვლოთ ლენინის შრომას — „კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე“:

„სახელმწიფო კანონი, რომლის ცხოვრებაში გატარების დროს, რომელიმე ერს პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებს, — უნდა ჩაითვალოს არა-კანონიერათ და ძალადაკარგულათ. ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება მოითხოვოს კანონის დამრღვევის პასუხისგებაში მიცემა. „ამით დავამთავრებ.“

მიღებულ ცნობებით, ამ მწერალთა კავშირის ყრილობას ესწრებოდა ედუარდ შევარდნაძე, საბჭოთა კომპარტიის ცეკას კულტურის განყოფილების გამგე შაურო და სხვები.

ჯაფარიძის სიტყვას დარბაზი მქუხარე ტაშით აჯილდოვებდა და როცა მან სიტყვა დაამთავრა, 10—15 წუთის განმავლობაში უკრავდნენ დამსწრენი. იგი სიტყვით გამოვიდა თითქმის ყრილობის ბოლოს. შევარდნაძეს არა ერთხელ შეაწყვეტინეს სიტყვა შემახილებით, მათ შორის ჯაფარიძემაც. მაგრამ, შევარდნაძემ თქვა, რომ ტრიბუნიდან არ ჩამოვიდოდა მსგავსად ერთი მინისტრისა. მას მხედველობაში ჰყადა უმაღლესი და საშუალო სპეცგანათლების მინისტრი გიორგი ჯიბლაძე, რომელიც აუდიტორიამ აიძულა ჩამოსულიყო ტრიბუნიდან იმის გამო, რომ იგი მლიქვნელობდა შევარდნაძის წინაშე.

შევარდნაძემ თქვა, რომ რუსიფიკაციის საშიშროება საქართველოში არ არსებობს და რომ იგი ისე დაუჯერებელია, როგორც ანგლიზაცია. აუდიტორიიდან გაისმა შემოძახილები: დისერტაციებს ინგლისურ ენაზე არ ვწერთ“ და ასე შემდეგ...

† გრიგოლ რობაქიძე

ისტორიული წამები.

პოეტისა და დიდი მოაზროვნის გრიგოლ რობაქიძის ნეშტას, ლევილის ძმათა სასაფლაოზე გადმოხვენებასთან დაკავშირებით, სასურველად ჩავთვალეთ, გადმოვცემებოდა მწერლის შესანიშნავი დამოწმება და ასახვა ქარსაც მკითხველს აქვე ვთავაზობთ.

თველთა ერთსულოვნების, იმ ისტორიულ დღეებში, რა-
(ამოღებულია გაზ. „საქართველო“-დან, №260, 1917 წ. 25 გიორგობისთვე, თბილისი.)

ძველია გადმოცემა: ქართველი ძლიერია უფსკრულის პირას მიყენებული. მანამდე იგი თითქო სუსტია და მოღალეული; ხელის მოქნევა იქვენარევი აქვს და ნება ძალზე მონელეული. ხოლო როცა პირღია უფსკრულს მიადგება, საცა მხოლოდ საშინელი გადაჩეხაა მოსალოდნელი, მაშინ იგი, ვით შმაგი ვეფხვი საფრთხეს წინაშე, იკუმშება სასტიკი ძალ-მოკრეფით და უტეხი ძლევა-მოსილებით აელვარებს მახვილს. ამას მოწმობს მრავალი ტეხილი, საქართველოს ისტორიისა, ამას აცხადებს მრავალი ფაქტი ქართველის სიცოცხლისა. დაჭრილი ქართველი, დაჭრილი ვეფხვის ნახტომით თვითნებობს.

ასეთია ჩვენი ეროვნული ტემპერამენტი. ეს საოცარი თვისება ამ ისტორიულ დღეებშიაც მარჯკვედ გამოვიჩინეთ. მსოფლიოს მოედვა ომის ცეცხლი, სამყარო იწვის. მიწის პლანეტა ქაოსის ფრთებით უფსკრულისაკენ მიეჭანება. რუსეთი წაიღო რევოლიუციის ქარიშხალმა. ირღვევა საუკუნეებით ნაჭედი. იმსხვრევა ყოველი შემოქმედება გაიყინა. აპოკალიპსის, „მცხრალი ცხენის“ ლანდი თარეშობს. ყოველგან, ყოველის მხრით უფსკრულია გათხრილი. და აი, ამ „განკითხვის ეამს,“ როცა საქართველოსაც დაუდგა ბედისწერითი საშინელებით კითხვა „ყოფნა-არყოფნისა,“ იგი იჩენს ნამდვილ ვაჟურ ძლიერებას. აჩქარებული ქართველი სიღინჯით იმართება, იმპულსივი ქართველი ფიქრით იჭედება; მოღლილი ქართველი ნების ფოლადს ამახვილებს.

ეს მოხდა საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე. ამ ყრილობით დაიწყო ჩვენი ეროვნული უღელტეხილი. ეს ყრილობა ისტორიულია უაღრესად. ჯერ თვითონ გარესაზე ყრილობის, მრავალ ქართველს ერთგვარი შიში მოიცავდა, „პროვინციალი“ არ გამოსულიყო ყრილობა. არის რალაც საცნაური „პროვინციალსა“ და „სატახტოში“. ეს არ არის უბრალო დაპირისპირება: არც გეოგრაფიული და არც ადმინისტრაციული. ამ დაპირისპირებაში, უფრო ღრმა შინაარსია ფარულად ნაგულისხმევი: სიცოცხლე თავის-თავადური, თავისუფალი („სატახტო“) და სიცოცხლე ფუნქციონალი, დამოკიდებული, („პროვინციონალი“). საბედნიეროდ ქართველთა ყრილობაზე ასეთი შიში არ გამართლდა, პირიქით: ყრილობა უთუოდ ატარებდა „სატახტო“ სტილს აკაკი ჩხენკელის შესავალ სიტყვიდან, ნოე ჟორდანიას უკანასკნელ სიტყვამდე. აქ იყო პოლიტიკური გამოცდილება, აქ იყო ზომა-შერჩენილი დიდი ისტორიული პათოსი. ყოველი ეს „გარესაზე“ თითქო, მაგრამ თუ ღრმად შევიცნობთ მას, მის გარეგან სამოსელში მეტად გულისხმიერს „შინა-საზე“-ს დავინახავთ.

და დავინახეთ კიდევ ასეთი საზე. ყრილობა დაირაზმა სზე და სზე პოლიტიკური პარტიების ზოლებით, ხოლო, მიუხედავად ამისა, საოცარი ის იყო, რომ მთელი ყრილობა ერთს მაგარს რაზმს წარმოადგენდა. აღარსად სჩანდა ჩვეული ჯგუფური დაყოფა, აღარსად ისმოდა საშინელი „შენ-ჩემობა“, აღარ იყო. შუღლი, შური, ღვარძლი, უნდობლობა, გაუტანლობა. ამ ყრილობაზე მოისპო საქართველოს ისტორიის პირვანდელი ცოდვა: არწამება მთელისა და ნაწილის შორის, ერთიმეორის გამანადგურებელი განხეთქილება. აქ ვიგრძენით პირველად ნამდვილი ქმედითი ეროსი; სიყვარული არა რალაც განყენებულისა არამედ ქეშმარიტი, ცოცხალი არსისა. ყრილობამ ამხილა შეუცნობელი სიყვარული საქართველოსადმი, რომელიც თურმე მიყუჩებულ ცეცხლივით ყოფილა მიმალული ჩვენში. საქართველო აღიმართა როგორც დიადი მთელი. იგი დადგა ყოვლის განსაზღვრულების მაღლა; იგი გამოცხადდა, როგორც დაუშრეტელი უზენაესი არსი.

სად იყო პოლიტიკური „დოღმა?“ სად გაქრა პარტიული „პროგრამა?“ საით გაფრინდა ვიწრო ჯგუფური „ლოზუნგი?“ ამ ყრილობაზე ჩვენ შევიცნეთ, უკანასკნელ წვეთამდე, რომ საქართველო უფრო დიდი ყოფილა, ვიდრე „დოღმა“, „პროგრამა“, „ლოზუნგი“. განა „უზუნანესი მთელი“, დიადი სოციალური სხეული რომელიმე ფარგლებში დაეტევა? საქართველომ გაარღვია ყოველი რკალი ჩვენ მიერ შექმნილი და თვითონ გაიშალა უხილავი, ერთს უსაზღვრო მზეოსან რკალად; საქართველო არა. როგორც ემპირიული ფენომენი, არამედ როგორც მეტაფიზიური მყობადი.

საქართველო ყოფილი, არსებული, საყოფელი; ამ რკალმა მოგვიცვა, უნებლიეთ, ყრილობის მონაწილენი და მე. — დაკარგულები ნეტარებით ვიძირებოდით მის თბილს ნირვანში. განვიცადეთ საქართველო მთელი მისი ისტორიული სხეულებით, როგორც ფშანები განიცდიან ფესვებს ათასი წლის მუხისას. აენტო ქმედითი ეროსი ჩვენი, და ვიგრძენით მთელი ქართველობა, ვით ეროვნული, მრავალ საუკუნოთა შორის ხორციელებელი. ჩვენში აღიმართნენ წინაპარნი ჩვენნი: კეთილშობილი რაინდები, მრისხანე მახვილებით და მზით-მოსილნი შემოქმედნი გენიალური პროფილებით..

გარდაილახა ყოველივე ზღუდე, დაიმსხვრა ყოველი ზღვარი; „მე“ „შენ“ ახლანდელი ჟამი და წარსული. დაიშო ჩვენი უცნაური ეროვნული აპერცეპცია: „საქართველო ეს მე ვარ“, მის მაგიერ ჩაისახა სხვა შემეცნება, უფრო სწორი და მართებული: „ჯერ საქართველო და მერე მე“. ნოე ჟორდანიამ თავისი უკანასკნელი ისტორიული სიტყვით მხოლოდ ეს ფსიხოლოგიური ამბავი დაადასტურა: „ამიერიდან არსებობს ერთი ქართველი ერი.“

ყრილობაზე გაისმოდა ერთი რამ დამაფიქრებელიც; ყველა იმას ამტკიცებდა, რომ საქართველოს თავისუფლება ნაყოფია რუსეთის რევოლიუციისა, ბევრი შესაძლოა ამ ფორმულას ისე გაიგებს, თითქოს ჩვენ ჩვენი ძალებით კი არა, გარეშე ძალებით მოგვეპოვოს თავისუფლება. არას გზით ეს გაგება მისაღები არ არის. ჯერ ერთი: რუსეთის რევოლიუციის ავანგარდი იყო და არის საქართველო;

რამდენი რაინდი რევოლიუციონერი მისცა რუსეთს საქართველომ? რუსეთის რევოლიუციის ისტორია, საქართველოს გამოორიციხვით არას გზით არ დაიწერება. ქართველი, რევოლიუციონერია ნების ტემპერამენტი. დააკვირდით: იმ დროს, როცა რუსეთი რევოლიუციიდან ანარქიისაკენ მიეჭანება, საქართველო მთელს ამიერ-კავკასიაში განაგრძობს რევოლიუციის ორგანიზატორულ გზას, საქართველო რევოლიუციის ცეცხლის შესანიშნავი კუთხეა და მაშასადამე „სხვისით არ არის ნაშობი მისი თავისუფლება. და თავი და თავი: ერი რომელიც ჰქმნის ასეთ ერთსულოვან ყრილობას, ერი, რომელიც აცხადებს ასეთ სახელმწიფო შეგნებას, ერი, რომელიც ასეთი ზომით აფოლადებს თავის თავადურ ნებას, — ის ერი — „თავისუფალია“ თვისგნით და მაშასადამე, იმ თავითვე თავისუფალი. იგი ასეთ ეამს მხოლოდ უხეშ მონობას იცილებს თავიდან. საქართველოს ისტორიაში ახალი უღელტეხილი აღიმართა მზეოსანი. ქართველმა იხილა საყოფელი საქართველო. ამიერიდან საქართველოს არა უშავს რა. მრავალი ქართველი მომსწრე ამ ისტორიული წუთების იტყვის უთუოდ: „აწ განუტევე მონა შენი!“

მარტყოფის ბრძოლის 350 წლის თავი

350 წლის წინად მოხდა საქართველოს ისტორიაში ცნობილი ბრძოლა თბილისის მახლობლად მარტყოფის ველზე. ქართველთა ლაშქარს სარდლობდა სახელგათქმული მხედართმთავარი, საქართველოს სახალხო გმირი, დიდი მოურავი გიორგი სააკაძე.

ისეთი დაუძინებელი და ვერავი მტერი, როგორიც იყო სპარსეთი, საქართველოს არ ჰყოლია. სპარსეთს მაშინ სათავეში ჩაუდგა კაცი ნიჭით აღსავსე, დიდი სახელმწიფო მოღვაწე და სარდალი, თანაც ცბიერი და ვერავი შაჰ-აბაზი.

მის დროს სპარსეთმა დიდ სიძლიერეს მიაღწია. განიცდიდა რა ჩვენი სამშობლო მუდმივ შიშს, მისი მესვეურები ეძებდნენ მოკავშირესა და დამცველს. ასეთად ჩვენს მეფეებს მიაჩნდათ ჩრდილოეთში მდებარე ქრისტიანული

ქვეყანა — რუსეთი. მეფე თეიმურაზი ელჩს-ელჩზე აგზავნიდა რუსეთში და სთხოვდა დახმარებას. თეიმურაზმა ამ საქმეში მიიმხრო იმერეთის მეფე გიორგი და გურია-სამეგრელოს მთავრები. ეს ამბავი კარგად ესმოდა შაჰ-აბზს და ამ მტარვალმა გადასწყვიტა საქართველოს სრულიად მოსპობა. მან გამოგზავნა უთვალავი ჯარი, საუკეთესო სარდლების წინამძღოლობით და მისცა განკარგულება, კახეთი ერთიანად ამოეწყვიტათ, ქართლი აეყარათ და სპარსეთში გადაესახლებიათ, ხოლო მის ადგილზე, თურქმენების ტომებითა და სპარსელებით დაესახლებიათ ეს მხარე.

ქართველი ერის წინაშე დაიბადა ერთად ერთი აზრი: ან სიცოცხლე ან სიკვდილი, ან საუკანოდ გაქრობა, ან გმირული ბრძოლა და გამარჯვება!

მაშინ სპარსეთის შაჰთან იმყოფებოდა, შურიანობისა და გაუტანლობის შედეგად, საქართველოდან გაძევებული დიდი მოურავი გიორგი სააკაძე. შაჰმა თავის ლაშქარს გიორგი სააკაძეც გამოაყოლა. შაჰ-აბაზს გიორგი სააკაძე თავის ერთგულ კაცად მიაჩნდა, მით უმეტეს, რომ საქართველომ იგი გარნისხა და გადაისროლა, მაგრამ ეს ეერავი საშინლად მოტყუედა. გიორგი სააკაძის გულში კვლავ ღვიოდა საქართველოს, — სამშობლოს სიყვარული. ჩამოვიდა გიორგი სააკაძე თუ არა საქართველოში ხელი მიჰყო მოქმედებას. მან საიდუმლოდ აფრინა თავისი ერთგული კაცები ქართლ-კახეთის ყოველ კუთხეში გაამხნევა დაფრთხალი ხალხი, მიიმხრო გავლენიანი თავად-აზნაურნი და მოაწყო შეთქმულება მტარვალთა გასაჟღეტად და საქართველოს გადასერჩენად. შეთქმულებს გიორგი სააკაძემ მისცა პაემანი: ეს იყო 25 მარტი, ე. ი. ხარება, მარიამ ღვთისშობლის დღეს, იმ მარიამისა, რომლის წილხედომილია საქართველო ტრადიციითა და ისტორიით.

მაშინ სპარსეთის მთავარი ძალა მარტყოფში იმყოფებოდა, თბილისთან ახლოს. გიორგი სააკაძეც ამ ბანაკში იყო, რათა მტერი გონს არ მოსულიყო, გიორგი სააკაძე მტრის ბანაკში რჩებოდა. დათქმული იყო, რომ როცა ქართველები მტრის მარტყოფის ბანაკს მოადგებოდნენ

და საიდუმლო ნიშანს მისცემდნენ, გიორგი სააკაძე შიგნიდან იმოქმედებდა. გიორგის იმ ღამეს სულ არ ძინებია. სპარსელების სარდალი ყორჩი-ხანი ღრმა ძილს მისცემოდა და საზარლად ხერინავდა.

ამ დროს შორს გაისმა ბუკისა და საყვირის ხმა. ეს იყო შეთქმულთა ნიშანი; თუშ-ფშავე-ხევესურელთა ჯარი, მისი შეილისა და ზურაბ ერისთავის მეთაურობით მოდიოდა მტარვალთა წინააღმდეგ. ქართული ჯარის გუგუნი და ბუკ-ნადარის მჭექარე ხმა ეღებოდა ველსა და ქთებს. სპარსელებს ეგონათ, თეიმურაზ მეფე რუს-იმერთა ჯარით მოდისო; იმერთა იმიტომ რომ, თეიმურაზი მაშინ იმერეთს იყო გადახვეწილი; რადგან ეს ხმა წინასწარ დაჰყარა შორს გამჭვრეტმა სააკაძემ. უსაზღვრო შიშმა შეიპყრო სპარსელები. ისინი დაიბნენ. მათმა სარდლებმა აფრინეს კაცი გიორგისთან. სააკაძე თავის ოთხი ვაჟაკით ცხენზე შემსხდარი მივიდა მთავარსარდალის ყორჩი-ხანის კარავთან. აქ შემოეხვივნენ მას სპარსელები და გაფითრებული სახით, დაუწყეს კითხვა თუ რას ნიშნავდა ეს ბუკის ხმა.

„ეს ის ხმაა, რომ დადგა ჟამი თქვენი გაწყვეტისა და საქართველოს განთავისუფლებისა!..“ მიამხა სპარსელ სარდლებს გიორგი სააკაძემ. „სიკვდილი მტარვალთ!“ შესძახა სააკაძემ მქუხარე ხმით, ჰკრა შუბი გულში თვით მთავარსარდალს და იქვე გააგორა. შემდეგ ხმლით ხელში, თავისი ოთხი გმირითურთ ეცა სპარსელ სარდლებს და დახოცა ერთიანად. ამასობაში მოუსწრო ქართველმა ჯარმა; როგორც გაშმაგებული ლომები ჩაერივნენ ამ უთვალავ ლაშქარში ზურაბ ერისთავი და გიორგი სააკაძის შვილი და მტერს მუსრი გაავლეს. მემატიანე მოგვითხრობს, რომ შეიქმნაო მტრის უწყალო ელცა. ისე შეიპყრო შიშმა სპარსელები, რომ ველარ არჩევდნენ მტერს და ხოცავდნენ ერთმანეთს. ორ სამ საათში ქართულმა ჯარმა მოუღო მათ ბოლო.

ამრიგად გიორგი სააკაძემ, თავისი გენიოსური ნიჭით და თავდადებით, გადაარჩინა ქართლ-კახეთი დაღუპვას და ერთიანად მოსპობას. მაგრამ დიდ ქართველ მამულიშვილს და ერის მოურავს იაფად არ დაუჯდა ეს გმირობა.

სააკაძემ უმსხვერპლა სამშობლოს თავისი უფროსი და უსაყვარლესი ვაჟი პაატა, რომელიც შაჰ-აბაზმა დაიტოვა მძევლად. გამხეცებულმა შაჰიმ საშინელი წამებით მოკლა პაატა და მით იჯერა გული სააკაძეზე.

ამ სამავალითო გამარჯვების შემდეგ, გიორგი სააკაძემ იმერეთიდან გადმოიყვანა თეიმურაზ მეფე და დასვა ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე. ასე დამთავრდა მარტყოფის ომი, რის შემდეგ უკვე გავიდა 350 წალიწადი და დღესაც ისე მოსჩანს მისი სხივი, თითქოს გუშინ მომხდარიყოს იგი. ეს ბრძოლა იყო ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიის ერთერთი ბრწყინვალე ფურცელთაგანი. ამ ომმა ერთხელ კიდევ დაანახა მტერს, ძალა ეროვნული მეობის შეგნებაშია და ამ ეროვნული შეგნების წინაშე მტერი უძლურია.

ქართველ ერს ერთად თუ ცალკალკე, (აქ მე ვგულისხმობ იმ ხანას როცა საქართველოს გარეშე მტრების წყალობით, რამდენიმე სამეფოდ და სამთავროდ იყო დანაწილებული), მათში არას დროს არ გამჭრალა ეროვნული მეობის შეგნება, რაც დუღაბია ერის მთლიანობისათვის.

ამ ხნის განმავლობაში, რა ჯურისა და ფერის მტერი არ უნახავს საქართველოს. ეს დამპყრობელი იმპერიალიტები, ქრისტიანები იყვნენ თუ ურჯულონი, ან ამოფარებული რომელიმე ვითომც საკაცობრიო ლოზუნგებს, ცდილობდნენ აღმოეფხვრათ პირისაგან მიწისა ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრება და ეროვნული თავისუფლება, მაგრამ ვერ შესძლეს.

საქართველოს ჯამოუკიდებელ რესპუბლიკის პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას პირით რომ ვთქვათ: ჩვენი მოსპობა უნდოდათ მაგრამ ვერ მოგვსპეს და ვერც მოგვსპობენო.

მსოფლიოში მრავალი ერი არსებობდა, მაგრამ საბოლოოდ ვერ შეინარჩუნა თავისი ეროვნული სახე და ასიმილირების გზას დაადგა. დედამიწის პირიდან გაჰქრენ, ოდესღაც ძლიერი ფინიკიელები, ძლიერი ბაბილონი დღეს ძველთა მუზეუმის სამკაულს წარმოადგენს, მაგრამ უძველესი ქართველი ერი საუკუნოების მანძილზე, იბრ

ძოდა და დღესაც იბრძვის ეროვნული მეობის შესანარჩუნებლად. . . არა ერთხელ უგრძნიათ ქართული მკლავის ძალა ლენგთემურს, შაჰ-აბაზის და ოსმალთა უამრავ ურდოებს, მაგრამ ქართველ ერს მაინც ვერ შემოხსნეს ხმალი წელიდან.

ქართულ ბარაქიან მიწაზე გადატყდა არაბ და სპარსელ დამპყრობელ იმპერიალისტების ხმალი და ჩვენს საუკუნეში ტაბახმელასა და კოჯორის მიდამოები მოწმენი არიან ვაჟაკური ქართული მოძახილისა, როცა ერთი ას მომხდურს იგერიებდა და თავის მიწა წყლის არცერთს მტკაველს მტერს უბრძოლველად არ უტოვებდა. ქართული ვაჟაკობის ანარეკლია ბათომის ბრძოლები წყევულ 1921 წლის მარტის დღეებში, როცა თურქებმა ყოველმხრივ ალყაშემორტყმულ საქართველოს, ზურგიდან მახვილი ჩასცა, მაგრამ ქართულმა სულმა კვლავ იმძლავრა, მომხდური დამპყრობელები გადარეკა ქოროხის იქით.

დამპყრობელ იმპერიალისტებს, რა ფერისაც არ უნდა იყვნენ ისინი, დიდი ხნის სიცოცხლე არ უწყრიათ; მოგადრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჰეს გასწყვეტს გმირთა გმირი, სიხარულით შეეცვლება ამდენი ხნის გასაქირი.

იმედით მოსილი უმღეროდა ჩვენს ერს დიდი აკაკი წერეთელი და ეს სიტყვები დღესაც უკვდავია.

მარტყოფის ბრძოლა, ვიმეორებთ, სახელოვანი თარიღია ქართველის ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში და ერი მას არ დაივიწყებს.

მარადიული ხსოვნა მამულიშვილებს!

ალ. ლორია.

პატრიოტიზმი და საბჭოთა პატრიოტიზმი

ჩვენი ქვეყნის ცხოვრება ისე აეწყო, უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, რომ ქართველ ხალხს, რომლებმაც პატრიოტული თავგანწირვით სამშობლო იხსნა განადგურებისაგან ძლიერ იმპერიებთან ბრძოლაში. ვახტანგ გორგარსლანის, დავით აღმაშენებლის, თამარის, გიორგი ბრწყინვალის, დიმიტრი თავდადებულის, ქეთე-



ვან დედოფლის, მღვდელ ივანე, პატარა კახის, მაია წყნეთელის, მარიამ დედოფლის, სამასი არაგველის, ცხრა ძმა ხერხეულიძისა, და სხვათა მემკვიდრე ქართველობას ასწავლიან და განუმარტავენ თუ რა არის პატრიოტიზმი.

აი ჩემს წინ დევს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალის „პიონერის“ მაისის ნომერი, რომელშიაც გამოქვეყნებულია ქალბატონ რუსუდან წიქვაძის წერილი სათაურით, „პატრია ქართულად სამშობლოს ნიშნავს.“

დღეს, როდესაც ვლაპარაკობთ პატრიოტიზმის შესახებ, ვგულისხმობთ საბჭოთა პატრიოტიზმსა, ბრძანებს ქალბატონი რუსუდანი. მაგრამ თუ რას ნიშნავს ეს ე. წ. „საბჭოთა პატრიოტიზმი“ გარკვეულ პასუხს ვერ იძლევა წერილის ავტორი. სამაგიეროდ იგი ჩამოთვლის „საბჭოთა პატრიოტიზმისათვის დამახასიათებელ რიგ თვისებებს, რომელთაგან უმთავრესი ყოფილა თავდადება, გამირობა, შრომა, მოვალეობის შესრულება, სიყვარული, გულწრფელობა, პატიოსნება, ხასიათის სიმტკიცე, თავდაბლობა, სხვა ხალხის პატივისცემა და ა. შ.

წერილის ავტორს რომ ჩაეხედა „ქართულ განმარტებით ლექსიკონში“, იქ იპოვიდა, რომ პატრიოტიზმი ნიშნავს— თავის სამშობლოს და ხალხის სიყვარულს, ერთგულებას და მათთვის თავდადებას. ეს არის პატრიოტიზმი, ხოლო ყოველივე ის, რასაც ქალბატონი წიქვაძე საბჭოურ პატრიოტიზმად მიიჩნევს, არის უფრო თვისებები, რაც უნდა ახასიათებდეს ყველა წესიერ ადამიანს, მოქალაქეს.

მიუხედავად ამისა, ქალბატონ წიქვაძის თეორია საბჭოურ პატრიოტიზმზე, კრიტიკის ოდნავ შეხებასაც ვერ უძლებს. გადაეხედოთ ისტორიულ ფაქტებს: როგორც ცნობილია, თავდადებისა და თავგანწირვის მაგალითები, უანგარო და პატრიოტული უხვად მოიპოვება ჩვენი ქვეყნის წარსულში: დიმიტრი თავდადებულმა საკუთარი სიცოცხლე გასწირა ერისა და ხალხის გადასარჩენად და ამით მან თავდადებულის სახელიც დაიმკვიდრა. დიდმა ილიამ დიდებულ მეფეს სახელი უკვდავყო პოემა „დიმიტრი თავდადებულით“. ქეთევან დედოფალმა უსაშინელებს წამებაში დალია სული ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. მარიამ დედოფალმა ხანჯლით განგმირა მომხ-

დური რუსი გენერალი ლაზარევი. ცხრა ძმა ხერხეულიძემ და სამასმა არაგველმა თავი დასდვენ სამშობლოსა და ხალხის სამსახურში. მათა წყნეთელმა და ივანე მღვდელმა თავი გასწირეს ხალხის და ქვეყნის გადასარჩენად და ა. შ. თავგანწირვა, თავდადება და გმირობა არ აკლდა ჩვენს ხალხს. ამ მხრივ, მარტო ცოტნე დადიანი, პატარა კახი, ქართლის მეფე სიმონი და სხვები პატრიოტული თავდადებისა და თავგანწირვის განუმეორებელი მაგალითების მომცემნი იყვნენ. მაგრამ ყოველივე ეს როდი იყო საბჭოური პატრიოტიზმი!

სწორედ ხასიათის სიმტკიცე და ღრმა პატრიოტული შეგნება იყო საჭირო და აუცილებელი ჩვენი სახელოვანი წინაპრების ასეთი თავდადებისათვის სამშობლოსა და ხალხის სამსახურში, რა შუაშია აქ საბჭოური პატრიოტიზმი, რომელსაც წერილის ავტორი უმაღლესი ფორმის საბჭოურ პატრიოტიზმს უწოდებს.

ვინც ოდნავ ჩახედულია ჩვენი ხალხის წარსულში, მათთვის ცხადია ისიც, რომ ქართველი კაცი სინდისის განსახიერება იყო, მისი სიტყვა ფასობდა, გაცემული ერთი ცალი უღვაშისა უღაო ვექსილი იყო. თუმცა ყოველივე ეს როდია პირდაპირ კავშირში პატრიოტიზმის გაგებასთან, მაგრამ ამ მხრივაც ქართველობა მუდამ მირონ-ცხეზული იყო. დღეს კი საბჭოთა იმპერიაში, სიტყვა და გულწრფელობა მხოლოდ ფულითა და სამთავრობო ავტომობილით განიზომება. თავდაბლობაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია და ზედმეტი.

„ნამდვილი პატრიოტი მარტო საკუთარი ერის სიყვარულით კი არ უნდა იფარგლებოდეს, — ბრძანებს ჭალბატონი რუსუდანი, — არამედ უნდა შეეძლოს პატივი სცეს და დაათასოს სხვა ხალხის კულტურა, მისი ტრადიციები, თანაუგრძოს და დაეხმაროს მას, იბრძოლოს მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის“. „პიონერში“ გამოქვეყნებულ წერილის ავტორისათვის, ეს საბჭოური პატრიოტიზმი ყოფილა!.

მაგრამ რა უყოთ და სად დაგეგმეთ ის ფაქტი, რომ ქართველი ხალხი უძველესი დროიდანვე სცემდა პატივს სხვა ერების დამოუკიდებლობას, ეხმარებოდა მათ დამ-

პყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში, პატივს ცემდა მათ კულტურასა და ტრადიციებს, თარგმნიდა მათ შესანიშნავ წიგნებს, გამართული ჰქონდა მათთან ალებ-მიცემობა, თავშესაფარს აძლევდა ყველა ჩაგრულსა და სამშობლო მიტაცებულთ! დღეს კი ქართველ ხალხს თავად აქვს მოსაპოვებელი სამოქალაქო უფლებები და ეროვნული თავისუფლება, რისთვისაც მებრძოლთ, მაგალითად ზვიად გამსახურდიასა და მის მეგობრებს, დავით ქორიძეს, ვალენტინა ფაილოძესა და სხვებს რეპრესიებით უმასპინძლდება ლენინური და ედუარდ შევარდნაძისებური საბჭოური პატრიოტიზმი.

რუსუდან წიქვაძე კი მაინც თუთუყუშმივით გაიძახის, რომ საბჭოთა პატრიოტიზმი, პატრიოტიზმის უმაღლესი ფორმა არისო!..

ეხლა გავარკვიოთ — რას უნდა ნიშნავდეს ეს ე. წ. საბჭოური პატრიოტიზმი, რომელსაც, როგორც დავინახეთ არაფერი აქვს საერთო ჩვეულებრივ და ქეშმარიტ პატრიოტიზმთან. „უმაღლესი ფორმის“ საბჭოური პატრიოტიზმი ნიშნავს ანტი-პატრიოტიზმს; პატარა ერების დაპყრობას პატრიოტიზმის სახელით; დაპყრობილის მუცელზე ხოხვას დამპყრობელის წინაშე; პატარა ერების ექსპლუატაციას პატრიოტიზმის ნიღაბით; უპირობო ერთგულებას კომპარტიისა და საბჭოთა რეჟიმის მიმართ, უფრო ზუსტად — ძალა-უფლებაში გაბატონებულ პირისა თუ პირების; სტალინურ ეპოქაში პატრიოტიზმის უმაღლეს ფორმათ მიჩნეული იყო სტალინისადმი მონური ერთგულება, ხრუშჩოვის დროს — ხრუშჩოვისადმი ერთგულება, ეხლა — ბრეჟნევის ბატონობის ხანაში კი საბჭოური პატრიოტიზმი გულისხმობს ბრეჟნევის განკარგულებათა უსიტყვო შესრულებას. საბჭოური პატრიოტიზმი მით უფრო სრული იქნება, რაც უფრო მეტად გამოვწველავთ ძროხას, მეტ ღორსა და ქათამს მოვაშენებთ, მეტ ჩაის მოვკრეფთ, რაც უფრო მეტად შევასრულებთ სახელმწიფო გეგმას, რაც უფრო მეტად ვიქნებით გაყვლეფილი კომუნისტური სახელმწიფოსაგან. ერთი სიტყვით. წელგამწყვეტი შრომა, უპირობო ერთგულება და განუსაზღვრელი მორჩილება — აი რა არის საბჭოთა

პატრიოტიზმი; პირდაპირი ანტიპოდი ჩვეულებრივი და ჯანსაღი პატრიოტიზმისა.

არ შეიძლება ყოველზე ეს არ იცოდეს ქ-ნმა რუსუდანა წიქვადემ. მიუხედავად ამისა, იგი, ნებით თუ უნებლიეთ, მაინც აბნელებს მოზარდი თაობის შეგნებას, თაობისა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული კრიტიკული აზროვნობისათვის.

გაივლის დრო, ეს ახალგაზრდებიც დაეჯეკადებიან გონებრივად და მაშინ ისინი უმადურებით მოიხსენიებენ სიყალბის მქადაგებელთ. ასეთია ისტორიის კანონი!..

დ. ურატაძე.

—[=]—

ანდრეი ამარლიკი

და ეროვნული საკითხი საბჭოთა კავშირში.

ყველაზე უფრო ნათლად და შეიძლება ითქვას, ზუსტად, ეროვნული საკითხი საბჭოთა კავშირში დაახასიათა ალექსანდრე სოლჟენიცინმა — მის პრეს-კონფერენციაზე, ციურბისში, 1974 წლის 16 ნოემბერს.

„ნაციონალური პრობლემის სიმწვავე, — თქვა მან, — დღეს საბჭოთა კავშირში უფრო მწვავეა, ვიდრე იყო მეფის რუსეთში... თუ ნაციონალურ წინააღმდეგობათა სიმწვავეს, მიწისძვრის თორმეტბალიან სკალაზე ავლნიშნავთ, მაშინ მეფის რუსეთში ეს იქნებოდა სადღაც ორ ბალზე, ხოლო ახლა საბჭოთა კავშირში არის ათ ბალზეო“ და ალექსანდრე სოლჟენიცინი დასძენს: „ჩვენი ზრუნვა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ეს, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირში ასე გამწვაებული ნაციონალური პრობლემა, როგორმე არ დაუშვათ აფეთქებამდე, არ დაუშვათ ხანძრამდე“.

და ანდრეი ამარლიკიც, ეს ცნობილი რუსი მწერალი და ისტორიკოსი, — ანალოგიურ აზრებს გამოთქვამს ეროვნული საკითხის სიმწვავის შესახებ საბჭოთა კავშირში. აი მაგალითად, მისცა რა ინტერვიუ გარმანის

ფედერატიული რესპუბლიკის ტელეხედვას, 1976 წლის 21 ივლისს, და შეეხო რა ეროვნულ საკითხს საბჭოთა კავშირში, — ანდრეი ამარლიკმა, სხვათა შორის, განაცხადა:

„კონფრონტაცია სხვადასხვა ეროვნებებს შორის საბჭოთა კავშირში გრძელდება.“ „აქ ჩვენ შეგვიძლია დღევანდელი საბჭოთა კავშირი შევადაროთ მეფის რუსეთს რევოლუციის წინ, როცა სისტემის სიმკაცრემ, რეფორმების გატარების წინააღმდეგობამ, საგარეო პოლიტიკურმა სიძნელებმა, რომელიც გამოწვეული იყო ომით გერმანიასთან, — მიიყვანა რუსეთის რევოლუციის შედეგებამდე.“

ანდრეი ამარლიკის ამ განცხადებასთან დაკავშირებით, საინტერესოა აგრეთვე მისი განცხადება, რომელიც მან გააკეთა პრეს-კონფერენციაზე 1976 წლის, 15 ივლისს, როცა ის ჩაფრინდა ამსტერდამში. კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ რომელ იდეოლოგიას იზიარებს ის, ამარლიკმა სიტყვა-სიტყვით განაცხადა:

... მე უფრო ვეკუთვნი ლიბერალურ-დემოკრატიულ მიმართულებას, რომელსაც საბჭოთა კავშირში მე ვაკუთვნებ ანდრეი სახაროვსა და იური ორლოვს.

„მე მსურს გავაკეთო დამატება ამაზე: აქ, (დასავლეთში) — მე ვლაპარაკობ ჩემზე როგორც იდეოლოგზე. ამ შემთხვევაში, ვინაიდან მე მწერალი ვარ, — ჩემი ტემპერამენტით მე შეიძლება ახლოს ვარ ნაციონალისტებთან...“

ანდრეი ამარლიკის ამ განცხადებამ განსაზღვრული ვაკეირვება გამოიწვია, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მისი წიგნის გამო — „იარსებებს საბჭოთა კავშირი 1984 წლამდე“, და მისი მემუარული მოთხრობის გამო — „იძულებითი მივლინება ციმბირში“ — ფიქრობდენ, რომ მისთვის ნაციონალისტური იდეები უცხოა. მაგრამ, როცა მას შეკითხვა მისცეს, თუ რას ფიქრობს ის დღეს მის წიგნზე — „იარსებებს თუ არა საბჭოთა კავშირი 1984 წლამდე“, — ანდრეი ამარლიკმა თქვა:

ჩემი წიგნის მთავარი იდეა გამოიხატება იმაში, რომ საბჭოთა საზოგადოებაში, გარეგნული სტაბილურობის ქვეშ, არსებობს ღია დამანგრეველი ტენდეციები, რომლებიც

სერიოზული კრიზისების დროს, როგორც მაგალითად ომი ჩინეთთან, გამოქვეყნდებიან და საბჭოთა კავშირს მიიყვანს დაშლამდე.“

რუსეთის დღევანდელი მდგომარეობა კი — ანდრეი ამარლიკმა ასე დაახასიათა პრესკონფერენციაზე, ამსტერდამში:

„დღევანდელი მდგომარეობა საბჭოთა კავშირში, ჩემი შეხედულებით, წარმოადგენს რაღაც გარდამავალ პერიოდს. მართალია არსებობს გარეგნული, ასე ვთქვათ, მოჩვენებითი, ძლიერ მდარი სტაბილურობა, მაგრამ სინამდვილეში უსარგებლო განუწყვეტელ მოქმედებაშია ორი საწინააღმდეგო ტენდეციები, რომლის დროს ეს ტენდეციები მოქმედებენ, ვთქვათ, თითქმის ყველა ფენაში საბჭოთა საზოგადოებისა, მათ შორის მართველ აპარატშიც. პირველი ტენდეცია — ეს არის ტენდეცია საბჭოთა სისტემის ლიბერალიზაციისაკენ, ჩეხოსლოვაკიის 1968 წ. მოდელის მიხედვით, რა თქმა უნდა. იმ განსხვავებით, რომ საბჭოთა კავშირს, ჩეხოსლოვაკიისაგან განსხვავებით, არავითარი დემოკრატიული ტრადიცია არ აქვს.

მეორე ტენდეცია — ესაა ტენდეცია რეჟიმის გამკაცრებისაკენ, რუსული ნაციონალიზმის გარდაქმნა ოფიციალურ იდეოლოგიით და ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც შეიძლება იწოდებოდეს კომუნისტურად, მაგრამ ექნებოდა საკმარისად ძლიერი მსგავსება იმ სისტემასთან, რომელიც არსებობდა ნაცისტურ გერმანიაში.

მე მსურს ვთქვა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობას ესმის ეს ორი ტენდეცია და ცდილობს წონასწორობა დაამყაროს მათ შორის, რომ არ მიიყვანოს ქვეყანა კრიზისამდე.“

ასე განაცხადა რუსმა მწერალმა და ისტორიკოსმა — ანდრეი ამარლიკმა პრესკონფერენციაზე ამსტერდამში, მიმდინარე წლის 15 ივლისს.

ამგვარად, ალექსანდრე სოლჟენიცინსა და სხვა გამოჩენილი რუსი პირების — სახაროვის თუ გრიგორენკოს მსგავსად, ანდრეი ამარლიკიც ამბობს, რომ ეროვნული საკითხი საბჭოთა რუსეთში მეტად გამწვავებულია; და ჩვენის აზრით — ამის მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ — როგორც ამარლიკი ამბობს — მოსკოვის

პარტიული ხელმძღვანელობა ცდილობს „რუსული ნაციონალიზმი გარდაქმნას ოფიციალურ იდეოლოგიად“ რომელსაც ძლიერ დიდი მსგავსება აქვს იმ სისტემასთან, რომელიც არსებობდა ნაცისტურ გერმანიაში; და პარტიული ხელმძღვანელობა ამგვარი დიდმპყლობელურ-შოვინისტური ეროვნული პოლიტიკის შენიღბვას ცდილობს, აწფარატიხა გამოთქმად ქცეული „ინტერნაციონალიზმი:“ და აი ანდრეი ამარლიკის ამ აზრზე გვსურდა მიგვექცია მკითხველის ყურადღება.

კ. ინასარიძე.

ფ ი ქ რ ე ბ ი

(ძველი რევულიდან).

ეს სტრიქონები მაშინ იწერება, როცა პარიზის ქუჩებს ახალგაზრდობა დაეპატრონა. გრანდიოზულ მანიფესტაციებს წინ მოუძღვის დროშები წარწერებით, წამოყენებულ მოთხოვნილებებით, რადიკალურად უარყოფილია არსებული პოლიტიკურ-საზოგადოებრივი წყობა.

ტლებედვებში გვიჩვენებენ, რომ დასავლეთის სხვა ქვეყნებშიც, უმეტესად სტუდენტობის მასიურ გამოსვლებს აქვს ადგილი. . .

რასაკვირველია გამოსვლებს დიდხანს ვერ მოითმენს ხელისუფლება და იგი თანდათანობით შესწყდება. იხსნება კი ამით მისგან დასმული პრობლემები? სრულებითაც არა.

ახალგაზრდობას, უმთავრესად სტუდენტობას, მუდამ ახასიათებს მძლავრი პროტესტანტული გამოსვლები, მის გარშემო დამკვიდრებული უსამართლობის წინააღმდეგ. იგი ხშირად იყო წინამორბედი დიდი რევოლუციონური ქარტეხილის, რამაც ძირბუდიანად უნდა შეცვალოს არსებული საზოგადოებრივი წესები.

გარედ ქუჩაში მომხდარი მანიფესტაციები არ შეიძლება დავსახოთ ძველისა და ახალთაობის კონფლიქტად, ან კიდეც, როგორც იტყვიან, მამა შეილთა იდეურ შეხედულებათა დაპირისპირებად, როგორც ამას ჰქონია ადგილი ყველა დაწინაურებულ ერთა ცხოვრებაში. . .

მიმდინარე ეპოქის მოძრაობა უფრო ღრმაა და იჭრება საზოგადოებრივი ცხოვრების სიღრმეში. ახალგაზრდობის

სტიქიურ გამოსვლებს უსათუოდ ახასიათებს ახალი საზოგადოების შექმნის მიდრეკილება, უმთავრესად იგი გაპიროვნებულია ტექნიკის იმ განსაცვიფრებელ განვითარებასთან, ახალი საზოგადოების საკითხი რომ დასვა და რაღაც 25 წლის გასწვრივ, უკუავადო გასული საუკუნის ყველა დოგმები, ფორმულები, წინასწარ გათვალისწინებული სოციალ-ეკონომიური ურთი-ერთობანი.

შეუძლებელია უარყოთ ჩვენი დროის პარადოქსი. მოქალაქის გონება ველარ იმორჩილებს მეცნიერების მიერ მიღწეულ შედეგებს, მისთვის გამოუცნობი რჩება სოციალური ძალების მოძრაობა, რომელიც მიაქანებს გამოუცნობ მოვლენისაკენ.

ადამიანს შიშს გვრის ჩაფიქრებაც კი. აღარ იცის, რაგვარ მოსასპობ იარაღს უმზადებს მას ტექნიკური მეცნიერება...

აი ამ ატმოსფეროში იზრდება, ვაჟკაცდება, გონიერდება დღევანდელი ახალგაზრდობა და აქედან ცხადია იგი რადიკალურად განსხვავდება ჩვენი თაობიდან. არსებულში იგი ხედავს სიცარიელეს, უსამართლობას. მომავალი კი ბურუსით მორთულია, პერსპექტივები შავებშია გახვეული. თუ რამდენიმედ ეს გარემოება სინამდვილეს გამოხატავს, დღევანდელი ტექნიკური მიღწევები, უსათუოდ იძლევა უკეთეს მომავლის იმედს.

თუ კაცობრიობა ჩიხში მოემწყვდა, მიზეზი ის არის, რომ ადამიანის სული და გული დაიმორჩილა მატერიალისტურმა ეპოქამ, მან გააველურა ეგოიზმი, წარმოშვა სულიერი დაკნინება.

რომელ წყაროდან მოდის კაცობრიობის ამდაგვარი მორალურ-სულიერი დაქანება? სად არის სათავე, საიდანაც იკვებება ადამიანში ჩამარხული ის უარყოფითი მისწრაფება, რომელიც სპობს, ანადგურებს ყოველივე სიკეთის ჩანასახს და აღვივებს ადამიანთა შორის მტრობასა და შუღლს? ვინ გაამეფა ნივთი და დააბა, შებოროკა თავისუფალი შემოქმედება? დიქტატურის იდეოლოგია, რომელიც ხოცვაელეტით, ნგრევითა და რბევით ცდილობს საკონცენტრაციო ბანაკებად აქციოს მთელი ქვეყნიერება, ცხადია ამაში დანაშაული არ მიუძღვის ამ ახალგაზრდობას, ქუჩებში რომ მოფენილა, მათი შეცდომა ის არის,

რომ რბევით და მსხვერვეით ახალი და უკეთესის შექმნა შეუძლებელია. ამის მაგალითია საბჭოთა დესპოტიური წყობილება, ძალადობით რომ დააფუძნა საზოგადოება უფლება აყრილი, ერთ ცენტრზე დამორჩილებული, მისგან დამოკიდებული.

არც ის საზოგადოებაა მისაღები, სიმდიდრეში რომ იბრჩობა, შეიარაღებაზე მილიარდებს ხარჯავს და არ შეუძლია გადასდოს ერთი პროცენტი თავის ნაციონალური შემოსავლისა დამშეული აფრიკის მცხოვრებლებისათვის. ვინც ურიგდება გამრყვნელ პორნოგრაფიულ კინოებს და ცდილობს მის ჩვეულებად გადაქცევას, მის გათეთრებას.

ინდუსტრიალურად დაწინაურებული ქვეყნების მესაქეთ თითქოს, შეგნებული აქვთ სიმძიმე შექმნილ მდგომარეობისა; დემოკრატიულ-ლიბერალურ სოციალისტურ რიგებიდან მუშავდება გეგმები, თეორიები, ხდება კვლევები; ტარდება რადიკალური სოციალ-ეკონომიური რეფორმები.

ხსნა ცივილიზებულ ქვეყნების, — გადარჩენისა, დამოკიდებულია ამ ცვალებადობის დაჩქარებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღმოსავლეთიდან კაცობრიობას მოელის ეროვნული და სოციალური დამონება.

1969 წ.



ერთი აკვიატებული აზრი მუდამ მაწვალებდა, ახლაც არ მასვენებს, ალბათ სანამ სულს საიქიოს არ ჩავებარებ, მუდამ სატანჯველად მექნება. განა მართო მე ვარ ამ ყოფაში? ვისაც აწუხებს, ვისაც გული შესტკივა, ვინც ფიქრობს ჩვენი ქვეყნის მომავალზე, შეუძლებელია საგონებელში არ ჩავარდეს, როცა იგი გაიხსენებს წაკითხულს და წარმოიდგენს თუ რა ბედი ეწვია ქართველებს, გადაყრილს ეგვიპტეში, ერაყში, სპარსეთში, ოსმალეთში და სხვა მხარეებში. პირველ ხანებში, მათ არ დაუქარგავთ მშობლიური ქვეყნიდან გამოყოლილი ზნე-ჩვეულებანი, პირიქით, ისინი ელოლავებოდნენ კიდევ, უვლიდნენ, ზრუნავდნენ, სურდათ შეენარჩუნებინათ ეროვნული საგანძური და რაც უმთავრესია ენა.

მაგრამ დრო და ქამმა თავისი გაიტანეს; თაობა თაობამ შესცვალა, უცხოეთში დაბადებულმა თანდათანობით აღ-

იქვა ადგილობრივი ზნე და ჩვეულებანი; იგი დაეწაფა უცხო ქვეყნის სწავლა-განათლებას, კულტურას და ასე დაიკარგა ქართული ოჯახი. . .

ჰო, ეს იყო წარსულში; — ახლა ხომ ეს არ მოხდება, ჩვენს საზოგადოებაში ხშირად იმართება ცეკვა-სიმღერები, ახალგაზრდების გამოსვლები, მათ მიერ ქართულ ენაზე ლექსთა ჩაბუღებულება, რაც ჩვენს გულს ახარებს, სიამოვნებას გვრის. . .

რასაკვირველია ისინიც პატივისცემის ღირსნი არიან, რომელნიც ენას ვერ ფლობენ, მაინც ქართველობენ, მაგრამ მათი შვილები, შვილის - შვილები გაუძღებენ უცხო კულტურის დაწოლას? მათ ხელში ხომ აღარ იქნება დიდი იარაღი შერკინების, გამკლავების — ქართული ენა? ისინი თანდათანობით დგებიან გადაგვარების გზაზე. . . „გული ჰქონდეს ქართული, ენას რა მნიშვნელობა აქვს“, — ვერაფერი ნუგეშია.

ენის გარეშე სამშობლო არ არსებობს, ქართველი—ვერ ქართველობს. . . როგორ გავამხილო! წინედ დასავლეთში ახალგაზრდები მოისწრაფოდნენ, სწავლა-განათლებას ღებულობდნენ, უკან ბრუნდებოდნენ. დღეს თითქოს ეს მაღალი კულტურა ბევრს ხელიდან გამოგვაცლის მომავალში; მასპინძლებს შეემატება მოქალაქენი, რაც მათ არ სჭირდებათ.

უცებ იმედის ნაპერწკალი გულში გაიღვებებს, თავს ვარწმუნებ, ქართველი სადაც არ უნდა იყვეს, მასში არ ჩაცხრება ცეცხლი მშობლიური, მის ძარღვებში იფეთქებს მამა-პაპისაგან გადმოცემული სისხლი ქართული. . მაგრამ ეს სურვილი საქმის ვითარებას არ ცვლის; საუკუნეთა მანძილზე, უცხოეთში გადაყრილი ქართველობის ზვედრი მაინც გულს მიღრნის, სევდა მიპყრობს, ბოღმა ყელზე მადგება. მით უფრო რომ სამშობლოდან მოსული გულშემზარავი ნიშნები რუსიფიკაციისა, რეალურად იხატება, რის შესახებ მწვავე ფიქრებს, ჩვენს მკითხველებს მომავალში გაუზიარებ.

ლაშქრობა ქართული ენისათვის მთელი დაძაბულობით და ბრძოლის უჩინო უნდა განიმსჭვალოს. . .

პ. სარჯველაძე.

1974 წ.

ჩ ა ნ ა ზ ი ძ რ ი

შრომა და შემოქმედება,
მუდამ პატივის ღირსია,
ამ ცნებას ვინაც უარყოფს, —
ქვეყნისგან გასარიცხია.

ერთობა, სულის კავშირი,
ერის ღრმა საძირკველია,
შუღლი თუ გამოერია,
ქვეყნის საფლავის მთხრელია.

სამშობლოს ბედის ღალატი,
ყოველ ღალატზე დიდია,
ვინც ამას სჩადის მისი სიცოცხლე
ბეწვის სასწორზე ჰკიდია.

იყავი მხნე, სულით ძლიერი,
მებრძოლი სამართლიანი,
არჩიე მტერთან — მოყვარე —
გახდები ადამიანი.

ვინც საზოგადო ცხოვრებას,
დაპგმობს და გაემიჯნება,
ის თავის წუთი სოფელში,
ნახევრად მკვდარი იქნება.

აზრი სწორი, მოსწრებული,
სჯობნის ხმალსა გაბასრულსა,
გვაცნობს მტერსა და მოყვარეს,
და იღუმალს დაფარულსა.

ერის ხანგრძლივ ცხოვრებაში
გმირი ერთხელ იბადება,
მისდევს მრავალ საუკუნეს
და წმინდანად იხატება.

გაჩერება არ იქნება,
უნდა ჰკაფო გზა და კვალი,
ასეთია სიცოცხლეში,
შენი ქვეყნის წმინდა ვალი.

დ. ქიშერიძე.

უკრაინის განმანათავისუფლებელ მოძრაობიდან

1967 წელში გამოქვეყნდა ფრანგულ პრესაში, ცნობები უკრაინის განმანათავისუფლებელ მოძრაობიდან.

ამ სტრიქონების დამწერი, თვით მონაწილე ზოგიერთ ამბების, დამატებით გაწვდით ცნობებს.

საინტერესოა, რომ 1956 წელს, როცა ხრუმჩევმა მე-20 ყრილობაზე გამოიტანა სტალინის ბოროტებანი, მისი საშინელი რეპრესიული აქტები, და ეს ამბავი კიევში მოვიდა, ქალაქის მცხოვრებლები ნაციონალური დროშებით ქუჩაში გამოვიდა. მანიფესტაციებმა მიიღო გრანდიოზული ხასიათი, რასაკვირველია, ხელისუფლებამ მაშინვე მიიღო ზომები, და აღფრთოვანება ჩააქრო.

1950 წელს, სტანისლავიაში, პარტიებისაგან შედგა უკრაინის განმანათავისუფლებელი კომიტეტი. მისი მუშაობა საკმაოდ ნაყოფიერი იყო. მან მოაწყო სხვადასხვა ადგილებში უჯრედები, გამოსცა არალეგალური ფურცლები. სამი წლის არსებობის შემდეგ კომიტეტი ჩაეარდა, მისი წევრები გაასამართლეს დახურულ კარებში, მიუსაჯეს თითოეულს სასტიკი სასჯელი. 1959 წელს უკრაინელ იურისტთა მიერ დაარსებული იქნა ჯგუფი, რომელმაც მიზნად დაისახა უკრაინის გამოყოფა, თანახმად საბჭოთა კონსტიტუციისა, რომელიც უფლებას აძლევს ერებს, გამოეყონ რუსეთს, თუ ამის სურვილი აქვთ და დაარსონ საკუთარი სახელმწიფო. მიუხედავად ლეგალური ხასიათის მუშაობისა, იურისტთა ჯგუფი დატუსაღებულ იქნა. ჯგუფის მეთაურს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, შემდეგ შეუტვალეს 15 წლით ციხე, სხვებთან ერთად. ერთი წლის შემდეგ, ქ. ლვოვში, დაარსდა „უკრაინის ნაციონალური კომიტეტი“ რომელმაც სამი წელი იმუშავა არალეგალურად. დატყვევების შემდეგ, ორ წევრს: ივან კოვალს და ბაგდან გრინცს მიესაჯა სიკვდილით დასჯა, რაც მოყვანილ იქნა სისრულეში.

ბრძოლის სიმძიმე თანდათანობით გადავიდა ლიტერატურულ წრეებზე. გავრცელდა ფურცლები, ბროშურები, რომლებიც ამხელდნენ საბჭოთა რუსეთის „ველიკოდერჟავულ შოვინიზმს“, ნაციონალურ დესკრიმინიზაციას,

კულტურულ ცხოვრების რუსიფიკაციას. ამგვარ მწერ-
ლებზე ოფიციალურ პრესამ დაიწყო თავდასხმა; ისინი მო-
ხატულ იქნენ „სამშობლოს მოღალატეებათ“ თუ „რევი-
მის მტრებად“. არა ერთი მწერალი, პოეტი გამორიცხეს
მწერალთა კავშირიდან და მით, მოუსპეს მათ საარაებო
წყარო.

აღსანიშნავია, თუ როგორ მოექცა მოსკოვის თვალი —
შელესტი ნაციონალურ მოძრაობის გავლენის ქვეშ; მან
დაავალა ცნობილ მწერალს დზიუმას, წარმოედგინა მის-
თვის ეროვნული მოძრაობის მიზნები, მოთხოვნილებები.
მწერლისაგან შედგენილი ვრცელი დასაბუთება უკრაინის
მანიფესტაციები, პროზაული და პოეტური ნაწარმოები,
დამოუკიდებლობაზედ, ვრცლად გავრცელებული იქნა
ძთელს უკრაინაში. ამ დაკლარაციის სახელწოდება იყო:
„ინტერნაციონალიზმი თუ რუსიფიკაცია“.

იმ ხანებში მოძრაობამ მიიღო ფართე ხასიათი: კრებები,
მანიფესტაციები, პროზაული და პოეტური ნაწარმოები,
ყველაფერი მიმართული იყო უკრაინის დამოუკიდებლო-
ბის აღსადგენად. რასაკვირველია, მოძრაობამ გამოიწვია
მასიური რეპრესიები. სასტიკი სასჯელი მიესაჯათ მრავალ
გამოჩენილ და დამსახურებულ საზოგადო და პოლი-
ტიკურ მოღვაწეებს, რომელთა აქ ჩამოთვლა შორს წაგ-
ვიყვანდა. შელესტრი დაიბარეს მოსკოვში. ის გამოძვრა
ამ მდგომარეობიდან, რადგან თვითონ წარადგინა გეგმა
ინტელექტუალურ ძალების მოსასპობად და მოძრაობის
ჩასაქრობად.

საინტერესოა შელესტის ბედი. იგი იყო მოსკოვიდან და-
ნიშნული „ნამესტნიკი“; პოლიტ-ბიუროს წევრი და ერთ-
გული. ამით მან აიძუებდა უკრაინის ინტელიგენცია, და
რომ მისი გული მოევო, შელესტი გამოდის მწერალთა
კავშირის ყრილობაზე და აცხადებს: უნდა შევიანახოთ,
უნდა დავიცვათ უკრაინული ენაო. ამით გათამამებული
დამსწრენი, თითოულად თავსესხმიან მოსკოვის რუსიფი-
კატორულ პოლიტიკას. ამას მოჰყვა სასტიკი რეპრესიე-
ბი და შელესტის გადაგდებაც.

უკანასკნელ წლებში, გახშირდა ე. წ. „თვითგამოცემები“, ცხადია, უკრაინულ ენაზე. უკრაინულ ნაციონალურ მოძრაობის დამახასიათებელია, რომ მასში მონაწილეთა შორის აღარ არსებობს შიში მოსალოდნელ რეპრესიების, სასჯელის, რომელიც მოსალოდნელია.

1974 წლიდან, არალეგალურად გამოდის „უკრაინსკი ვისტნიკ“, რომლის რედაქტორები გადაქრით აღიარებენ, რომ უკრაინა იმყოფება ოკუპაციის ქვეშ; უარყოფენ სტალინ-ბრეჟნევის ნაციონალურ პოლიტიკას და მოითხოვენ უკრაინის გამოყოფას რუსეთისგან, მის დამოუკიდებლობის აღდგენას...

შაპოვალ.



პეტლიურას ტრალიკულად დაღუპვის 50

წ ლ ი ს თ ა ვ ი

ამა წლის მაისს, „მონპარნასის“ სასაფლაოზე, გადახდილი იქნა პანაშვიდი, — უკრაინის მეგრძოლ პრეზიდენტის სიმონ პეტლიურას ტრალიკული დაღუპვის 50 წლის-თავზე.

დილის 11 საათზე, სასაფლაოს კარიბჭესთან თავი შეიყარა მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ.

მრავალი უკრაინული დროშები, სპორტიულ ტანსაცმელით მორთული ახალგაზრდობა, საკუთარი დროშებით, ბრწყინვალეებით მოსილი სამღვდელოება; რიგრიგობით დაწყობილი პროცესია გაემართა დიდი ადამიანის, პეტრიულას საფლავისაკენ... აქ გადახდილი იქნა პანაშვიდი. ვალობდა საეკლესიო გუნდი.

პანაშვიდის შემდეგ წარმოითქვა სიტყვები.

ქართველობიდან პანაშვიდს დაესწრენ: ნ. ცინცაძე, ვ. ხომერიკი, გ. წერეთელი, პ. სარჯველაძე, ქრ. იმნაიშვილი; ჩვენი ეროვნული დროშით. დასაფლავების შემდეგ დელეგაციები, ჩამოსული ევროპის სხვადასხვა ქვეყნიბიდან, მოწვეული იქნა სასტუმრო „ლუტეტია“-ს დიდ-დარბაზში, სადაც მათ მხურვალედ გაუმასპინძლდნენ.

სიტყვებით გამოვიდნენ მრავალი ორატორები, რომლებმაც დაახასიათეს პეტლიურას პიროვნება...

ბოლოს სიტყვა აიღო ნ. ცინცაძემ, რომლის სიტყვამ გამოიწვია მხურვალე ტაში, რაც გადავიდა ოვაციებში. ისმოდა შეძახილები: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“

უკრაინელთა გრანდიოზული მანიფესტაცია მაჩვენებელია — უკრაინის განმანთავისუფლებელ მოძრაობის სიცხოველისა...

ვლასა მგელაძის მოგონება

(სპარსეთის რევოლიუცია. მე-3 წიგნი)

7

ცნობილი რევოლიუციონერის და დიდი პატრიოტის ვლასა მგელაძის პიროვნება გაკვირვებას იწვევს მომყოლთაობაში, რომელიც მისი პოეტური სიტყვით არ დამტკბარა, მისი აღნაგობით არ მოხიბლულა. ვლასას წილად ხედავთ ეროვნულ-საზოგადოებრივ ცხოვრების მწვერვალზე ასვლა. იგი დიდი ადამიანების: ილია აკაკის, ნოე ჟორდანიას ყურადღების ცენტრში იყო, რომლებსაც ვლასა უყვარდათ და დიდათ აფასებდნენ... მისი გამრული ბუნება, რომანტიული აღტკინება და გაბედულება იტაცებდა, იზიდავდა ყველას: ქრისტიანული მოძღვრების მქადაგებლის პირიდან ეფინება სიტყვები კაცთაშორის სიყვარულის, სიბრალულის მთესველი.

მაგრამ, ვლასა უპირველესად ყოველისა მებრძოლია უსამართლობის წინააღმდეგ, იგი მუდამ ამხედრებულია იქ, სადაც ხალხის ჩაგვრა-წვალებაა...

მისი მოღვაწეობა ჩვენ აღვნიშნეთ, მოკლედ, მოგონებების მეორე წიგნში. აქ მხოლოდ ერთ გარემოებაზე მიუთითებთ მკითხველს.

არა ერთ ახალგაზრდა მკითხველიდან გვესმის: — რა უნდოდათ ქართველებს სპარსეთში; რა ვლასას საქმე იყო სპარსეთის რევოლიუციის ერთ-ერთი მეთაურთაგანი ყოფილიყო.

ერთი შეხედვით, ასეთი მიდგომა, საფუძვლიანად გვესახება, მაგრამ საჭიროა ცოტათი დაფიქრება, ზოგიერთი ფაქტიური მხარის აღნიშვნა, რომ სრულიად სხვა დასკვნა გამოვიტანოთ.

დღეს ჩვენ ვცხოვრობთ უაღრესად მატერიალისტურ ხანაში. ეგოიზმი, უგულობა გამეფებულია, სხვისი გაჭირვება ჩვენს გულს აღარ ხვდება. ნოე ჟორდანიას ამას უბრალოდ გამოთქვამდა: „სხვისი ჭირი ლობეს ჩხირი,“-ო.

სპარსეთის რევოლიუცია ვლასას ხელმძღვანელობით არ დაწყებულა. რევოლიუცია დაიწყო გაძვალტყავებულმა, — სიღარიბეში ჩაცვენილმა გლეხობამ, მათმა მეთაურობამ მიმართეს აზერბაიჯანელებს, სომხებს და ქართველებს დახმარებისათვის. ეს მომართვა ვლასამ გაიგო უცხოეთში ყოფნის დროს. მან მაშინვე გადასწყვიტა სპარსეთში წასვლა. რჩევისათვის მაინც მიმართა დიდ პოლიტიკურ პიროვნებებს. ყველამ დიდად მოუწონეს. ახლა, ამ „დიდათ“ მემკვიდრეები, ალბათ ყურს არ გაიბერტყებდნენ. კიდევ მეტი, ვლასა უცხო ენის უცოდინარი, როგორც ქართველი რევოლიუციონერი, დიდის ამბით მიიღეს ევროპაში, ახლა ვინ შემოგხედავს? .. დიახ, დასავლეთი მაშინ არ იყო ჩაფლული კაპიტალის წუმბეში, იდეური მისწრაფება ასულდგმულებდა მოწინავე საზოგადოებას. . .

სისხლიდან იცლებოდა სპარსეთის მშრომელი ხალხი, ვლასა, ჩასვლისთანავე, რევოლიუციის ხელმძღვანელთა რიგებში მოექცა, ეს სრულებით გასაკვირი არ არის. . . ჰუმანიურ მისწრაფების ტალღებმა გაიტაცეს ვლასა, ჩაგრულთა მეთაური გახადეს. . .

გავიხსენოთ, როცა ისპანიაში სამოქალაქო ომი იყო, რესპუბლიკანელებს და მონარქისტებს შორის, მსოფლიოში განთქმული ფრანგი მწერალი და მოაზროვნე, ან. მარლო გაეშურა ისპანეთში და თავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგებში ჩადგა. . .

ახლა რომ აქა-იქ გარედან ხდება რაზმების შედგენა „დასახმარებლად“ — უმეტეს შემთხვევაში, სარჩულად უღვევს პოლიტიკურ-ეკონომიური ინტერესები.

ვლასა მგელაძის რევოლუციონური მოღვაწეობა გამართლებულია დიდის ჰუმანიურობით და უმაღლესი მორალით

პ. ს.

† მრასტო მაჭავარიანი

მცირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ პარიზის საავადმყოფოში გარდაიცვალა სოციალ - დემოკრატიული პარტიის, პარიზის ორგანიზაციის მდივანი მრასტო მაჭავარიანი. განსვენებული იყო აქტიური, მომქმედი და ერთგული ქართული საქმის სამსახურში.

მისი ასე უცაბედად დაკარგვა დიდი დანაკლისია ქართული საზოგადოებისათვის.

განსვენებული, პარიზის მრავალრიცხოვანმა ქართველობამ მიაცილა ლევილის ძმათა სასაფლაოზე და გრძნობიანი გამოსათხოვარი სიტყვა უთხრა ვალიკო ჩუბინიძემ, ს. დ. ორგანიზაციის სახელით, რომელმაც მოიგონა ერასტოს მიერ, საქართველოს დაპყრობის შემდეგ არალეგალურ ორგანიზაციაში მუშაობა სამშობლოში.

მისი სახელი დაუვიწყარი დარჩება მის მეგობრების შორის.

† ალექსანდრე კინწურაშვილი

ამა წლის 25 მაისს, მრავალრიცხოვან საზოგადოების თანდასწრებით, ლევილის ძმათა სასაფლაოს მივებარეთ ფრანგული ჯარის კომანდანი ალ. კინწურაშვილი.

განსვენებული ეკუთვნოდა იუნკერთა იმ ჯგუფს, რომელმაც სასტიკი ბრძოლა მისცა შემოსულ მტერს კოჯორზე. გადმოხვეწილობაში ის შევიდა საფრანგეთის უცხო ლეგიონში, — ერთგულად ემსახურა ჩვენს მეორე სამშობლოს, დაიმსახურა ყველასაგან პატივისცემა და ყურადღლება. კომანდანის ხარისხით, სამსახურიდან გა-

მოსული ის კვლავ დაუბრუნდა ქართულ საზოგადოებრივ მუშაობას; ხუთი წლის განმეგლობაში, საუცხოვოდ დააყენა ქართული „ოფისი“-ს საქმეები. ხელს უწყვდიდა და ეხმარებოდა ქართველთ, ვისაც ამის საჭიროება ჰქონდა, თავის გავლენით ადმინისტრაციასთან.

დასაფლავებას დაესწრენ ფრანგი ოფიცრობა და უცხოთა ლეგიონის ერთი მწყობრი, მის პატივსაცემად მივლინებული.

დავკარგეთ კარგი პატრიოტი, ქართული საქმის ერთგული მსახური. ერის წინაშე ვალმოხდილი, ყველასათვის პატივსაცემი ადამიანი.

„ჩვენი დროშის“ რედაქცია გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

გადმოსვენებული იქნენ ძმათა სასაფლაოზე ლევილში: **თამარ პაპაშვილი** და მისი შვილიშვილი **მაშვალა ზვირიშვილი** 26 ივნისს 1976 წ.

ღვთობით ბერძნულში. 26 ივნისს 1976 წ.

ოფიცერი ღვთობით ლალიძე, 21 მაისს 1976 წ.

გარდაიცვალენ და დასაფლავებული არიან ლევილის სასაფლაოზე:

კომანდანი ალ. კინწურაშვილი — 25 ივნისს 1976 წ.

მარსტო მატაშვილი, — 27 ივნისს 1976 წ.

მედა ღვთობითი - ნიკოლაძისა, 28 ივნისს 76 წ.

„ჩვენი დროშის“ რედაქცია გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს მათ ოჯახებს.

ჟურნალის ფ რ ნ ღ ი

სოშოს სათვისტომოდან	100,00ფ.
გიორგი ქვარცხავა	100,00
აკაკი შავგულიძე	100,00
გრ. ბარამიძე	100,00
პრ. ინწკირველი	100,00
გრ. ლომაძე	100,00
გერ. ბოლქვაძე	100,00
ქ-ნი ნ. გოგუაძისა	50,00
გ. ყიფიანი	50,00
ქრ. იმნაიშვილი	50,00
პეტრე ხვედელიძე	50,00
ფ. საბულიანი.	50,00
ქ-ნი მ. სტურუა	30,00
შ. ბერეჟიანი	20,00
დ. დათიაშვილი	20,00

მზადდება დასაბეჭდათ
და ახლო ხანში გამოვა
პ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ი ს
სტატიების კრებული

Hors commerce Gérant : Pr. Intskirveli.
IMPRIMERIE COOPÉRATIVE 91290 - ARPAGON (FRANCE)